დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

9 მარტი 2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

ეკა გეგეშიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N 61, თბილისი, 0186, საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრდიტირებული, 2025 წლის 31 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს #91667 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.01.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	17.01.2026 - მდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	17.01.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3

- რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველეყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე.
- რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და

ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანამიმდევრულობის კუთხით. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების (უარყოფითი/დადებითი)რიცხობრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

კომპონენტი 4.1

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 4.2.

რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.

კომპონენტი 4.3.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 5.1

რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლეს მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.

კომპონენტი 5.3

- რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
- რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

პროგრამის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან.

კომპონენტი 4.4.
რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული მტკიცებულებების ექსპერტული შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელა მიზანმიმართული, ორგანიზებული და შინაარსობრივად ორიენტირებული სამუშაო პროცესი. ანგარიშის მიხედვით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები, ფუნქციები გადანაწილდა რეკომენდაციების მიხედვით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, განხორციელდა პროგრამული და სილაბუსის დონის ცვლილებები, ასევე შეგროვდა და გაანალიზდა შესაბამისი მონაცემები. ეს მიუთითებს, რომ რეკომენდაციებზე რეაგირება არ შემოიფარგლა ფორმალური პასუხით და მიმართული იყო პროგრამის ხარისხის რეალური გაუმჯობესებისკენ.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა გააძლიერა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები: დაინერგა კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა გარე ექსპერტების მონაწილეობით, გადაიხედა კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების რიცხობრივი მაჩვენებლები, განახლდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის სისტემა, ხოლო მიღებული მონაცემების გამოყენება დაკავშირებულია პროგრამის შედეგებისა და კურიკულუმის პერიოდულ გადახედვასთან. ამავე დროს, თავად ანგარიშში აღნიშნულია, რომ დასაქმების მონაცემების შემდგომი დეტალიზაცია, განსაკუთრებით პოზიციებისა და კარიერული წინსვლის მიმართულებით, კვლავ განიხილება როგორც განვითარების

შემდეგი ეტაპი, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული მიმართულებით პროცესი პროგრესირებს, თუმცა საჭიროებს შემდგომ გაღრმავებას.

ანგარიშითა და დანართებით ასევე დასტურდება, რომ განხორციელდა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების, შედეგებზე ორიენტირებული სწავლების, შეფასების მიდგომებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის მიმართულებით. პარალელურად, პროგრამისა და სასწავლო კურსების შინაარსის თვითშეფასების ფარგლებში გადაიხედა სწავლის შედეგები, სავალდებულო ლიტერატურა, კრედიტების განაწილება, საკონტაქტო საათები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე გაუმჯობესდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების განვითარების პროცესი. აღნიშნული საქმიანობები ასახავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ციკლის რეალურ ფუნქციონირებას და პროგრამის განვითარების უწყვეტობაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში განახლდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის მექანიზმებიც: უზრუნველყოფილია ძირითადი სასწავლო კურსების შეფასება ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასების შედეგები ინტეგრირებულია პროგრამის მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესში. პროგრამული რეკომენდაციების ნაწილში ასევე დასტურდება კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო საათების გადახედვა, აგრეთვე ციფრული რესურსებისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები. ანგარიშს თან ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის კოლეგიალური შეფასების, ინდივიდუალური შეფასების, კურიკულუმის რუკის შემოწმების, პროგრამის, ტრენინგების, სტუდენტური შეფასებების, ხარისხის განვითარების მექანიზმებისა და დასაქმების სტატისტიკის დოკუმენტები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს რეკომენდაციების გათვალისწინებას

რჩევ(ებ)ი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

კლასტერის რჩევები:

კომპონენტი 4.3.
სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოთ მოწვეული საერთაშორისო პროფესორმასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება.

პროგრამის რჩევები:

კომპონენტი 1.1.

მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამის პირველი და მე-3 მიზნის გათვალისწინებით, პროგრამა ამ მიზნების მიღწევას აპირებს სპეციალური მოდულების გარეშე ისეთ ინოვაციურ თემებზე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა ან კიბერუსაფრთხოება. ეს სფეროები სულ უფრო გადამწყვეტი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები ნამდვილად მზად არიან სწრაფად განვითარებადი ბიზნეს სამყაროსთვის შესაბამისად.

კომპონენტი 1.4.
ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები მკაფიოდ არ არის ასახული. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, მომგებიანი იქნება უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევათა შესწავლის (case studies) ჩართვა სასწავლო პროგრამაში. პერსონალისა და სტუდენტების მობილობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

ანგარიშში რჩევების გათვალიწინების შესახებ ინფორმაცია არ არის.

დამატებითი ინფორმაცია

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ

კლასტერის რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია I.II და III	1.3.1 რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და

	შეფასების მეთოდებზე. 1.3.2. რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე. 1.3.3. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების (უარყოფითი/დადებითი) რიცხობრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
შეფასება	1.3.1. შესრულებულია წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტში დაინერგა კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც შიდა აკადემიური პერსონალის, ისე გარე ექსპერტების მონაწილეობას და მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ განხილვას. ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი დანართები ადასტურებს, რომ აღნიშნული სისტემა დოკუმენტურად არის გაწერილი, განსაზღვრულია შეფასების ობიექტები და პერიოდულობა, ხოლო პრაქტიკაში მისი გამოყენების კონკრეტული მაგალითიც არის წარმოდგენილი. შესაბამისად, რეკომენდაცია **შესრულებულია**. **1.3.2. შესრულებულია** წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტმა კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა: ანგარიშში მითითებულია, რომ გადაიხედა მონიტორინგის სისტემა და შემუშავდა მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს დასაქმების სფეროს, დაკავებულ პოზიციებს, სპეციალობასთან შესაბამისობასა და კარიერულ წინსვლას. ამასთან, წარმოდგენილი დანართი 3 ძირითადად შეეხება კურიკულუმის რუკის, სამიზნე ნიშნულებისა და არაპირდაპირი შეფასების შედეგების ანალიზს; დოკუმენტში ჩანს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების გამოყენება.

	1.3.3. შესრულებულია. **წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ** კურიკულუმის რუკა გადაიხედა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების რიცხობრივი მაჩვენებლები, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში აქტიურდება სწავლის შედეგების მიღწევის გზების გადახედვისა და საჭირო ცვლილებების განხორციელების მექანიზმი. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია როგორც ანგარიშში, ისე თანდართულ დოკუმენტში „კურიკულუმის რუკის შემოწმება და სამიზნე ნიშნულების მიღწევის დონის შეფასების ანგარიში“. თანდართული დოკუმენტით დამატებით დასტურდება, რომ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის რუკა შემოწმდა თანმიმდევრულობის კუთხით, განხორციელებული ცვლილებები აისახა განახლებულ რუკაში, სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა რიცხობრივად გაზომვადი ფორმით, ხოლო შედარებითი ანალიზის შედეგად მნიშვნელოვანი უარყოფითი ან დადებითი ცდომილება არ გამოვლენილა
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/ • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • კოლეგიალური შეფასების დოკუმენტი_დანართი 1. • ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტი_დანართი 2. • კურიკულუმის რუკისა და სამიზნე ნიშნულების შემოწმების დოკუმენტი_დანართი 3. • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა_დანართი 4. • ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა_დანართი 5. • კურსდამთავრებულთა დასაქმების • სტატისტიკა_დანართი 10.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IV	4.1.1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
შეფასება	4.1.1. შესრულებულია. უნივერსიტეტმა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის უზრუნველყო პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების, აქტიური სწავლების ფორმებისა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობისკენ. აღნიშნული პროცესის ფარგლებში პერსონალს მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო შესაბამის ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და შიდა პროფესიული განვითარების აქტივობებში, რაც ხელს უწყობს სასწავლო კურსებში ისეთი მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • ინტეგრირებული ტრენინგის პროგრამა

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია
რეკომენდაცია IV	4.2.1. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.
შეფასება	4.2.1. შესრულებულია უნივერსიტეტმა რეკომენდაციის საპასუხოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდებში გადამზადების მიზნით უკვე განახორციელა ტრენინგი, რაც ადასტურებს, რომ ინსტიტუციამ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციის გაცემიდან მხოლოდ ერთი წელია გასული, ამ ეტაპზე განხორციელებული აქტივობა საკმარის საფუძველს იძლევა, რეკომენდაცია შეფასდეს როგორც შესრულებული. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა მომავალშიც გააგრძელოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რათა აღნიშნული პროცესი სისტემურ და უწყვეტ ხასიათს ატარებდეს.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში • ინტეგრირებული ტრენინგის პროგრამა

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია V	4.3.1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული

	პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
შეფასება	4.3.1. შესრულებულია უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად გადადგა კონკრეტული ნაბიჯი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლა-სწავლების მეთოდებში მომზადების მიმართულებით და უზრუნველყო შესაბამისი ტრენინგის ჩატარება, რაც ადასტურებს, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული და პრაქტიკაში ასახულია. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგებზე ორიენტირებული შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციის გაცემიდან მხოლოდ ერთი წელია გასული, უკვე განხორციელებული აქტივობა იძლევა საფუძველს, რეკომენდაცია შეფასდეს როგორც შესრულებული. ამასთანავე, სასურველია უნივერსიტეტმა აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც განაგრძოს, რათა პერსონალის პროფესიული განვითარება უწყვეტ და სისტემურ პროცესად ჩამოყალიბდეს.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • ინტეგრირებული ტრენინგის პროგრამა

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო

	პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლეს მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.
შეფასება	5.1.1 შესრულებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში უზრუნველყო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის უფრო სისტემური განხილვა და შესაბამისი ხარვეზების იდენტიფიცირება/გათვალისწინება. ამ პროცესში გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები, სასწავლო კურსების სილაბუსები, სავალდებულო ლიტერატურა, კრედიტებისა და საკონტაქტო საათების განაწილება, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, ასევე შეფასების რუბრიკები და სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების განვითარების პროცესთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაცია გაითვალისწინა და განახორციელა შესაბამისი გაუმჯობესებისკენ მიმართული პრაქტიკული ნაბიჯები. შესაბამისად, რეკომენდაცია შეფასდება როგორც შესრულებული.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/ • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები დანართი 9

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VII და VIII	5.3.1. რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა. 5.3.2. რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.
შეფასება	5.3.1. უნივერსიტეტმა უზრუნველყო ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომლის საშუალებითაც მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების ხარისხი, ისე სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესი. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტთა უკუკავშირის სისტემურ შეგროვებას, კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის ეფექტიანობის შეფასებას. შესაბამისად, რეკომენდაცია გათვალისწინებულია და ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებები განხორციელებულია. 5.3.2. შესრულებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყოველი სემესტრის ბოლოს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების სტუდენტური შეფასების განხორციელება, რაც ადასტურებს, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პრაქტიკაში დანერგილია. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, სტუდენტთა უკუკავშირის სისტემურ შეგროვებასა და სასწავლო კურსების შემდგომ გაუმჯობესებას. შესაბამისად, რეკომენდაცია შეფასებულია როგორც შესრულებული.
რჩევა	
შეფასება	

მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელებისა და სამეცნიერო კვლევის კომპონენტის შეფასების ანგარიში • ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასების • ანგარიში_დანართი 7

2. პროგრამული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან.
შეფასება	1.5.1. შესრულებული უნივერსიტეტმა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადახედა კრედიტების განაწილებასა და საკონტაქტო საათებს, რის შედეგადაც სასწავლო კომპონენტების მოცულობა უფრო მეტად დაუახლოვდა თითოეული კურსის შინაარსს, დატვირთვასა და სირთულის დონეს. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას და ხელს უწყობს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ გამართულობას. შესაბამისად, რეკომენდაცია შეფასებულია როგორც შესრულებული.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf

	• სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია X	4.4.1. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან.
შეფასება	4.4.1. შესრულებულია უსდ-მ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები ციფრულ ტექნოლოგიებში ინვესტირების მიმართულებით, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია სასწავლო კურსებში გამოყენებული უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესებულია ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან, რაც ხელს უწყობს სასწავლო რესურსებზე უწყვეტ და მოქნილ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ცვლილებები ადასტურებს, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პრაქტიკაში განხორციელებულია.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში • სწავლების მართვის სისტემა (LMS) www.sou.edu.ge; • E-flow სისტემა www.sou.edu.ge;

სტანდარტის დასახელება	
კომპონენტის დასახელება	
რეკომენდაცია XI	
შეფასება	
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მტკიცებულებები: ვებ - გვერდი https://www.sou.edu.ge/images/file/1538561578--ssu%20misia.pdf • სასწავლო კურსის სილაბუსები • წარმოდგენილი ანგარიში

თანდართული დოკუმენტაცია

ექსპერტის ხელმოწერა

ეკა გეგეშიძე